

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო  
მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 63

ქ. ბათუმი

01 „ივლისი“ 2021 წ.

სხდომას  
ხელმძღვანელობდა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ----- ნუკრი დეკანაძე

სხდომას ესწრებოდნენ  
საკონკურსო კომისიის  
წევრები:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ----- რამაზ მამულაძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსი ----- ვახტანგ გედენიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი ---- მირიან მეტრეველი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ.შ. ----- დავით კოპინაძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ----- კახა დიასამიძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, 08.04.2021-ის „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ“ № ზ 14.14210983 (16.04.2021-ის ცვლილება № ზ 14.142110630) ბრძანებისა და ასევე საკონკურსო კომისიის 26.04.2021-ის აპრილის № 61 სხდომის ოქმის შესაბამისად, მერიის საკონკურსო კომისია იხილავს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო (ღია, დახურული და შიდა) კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის (09.06.2021-11.06.2021) - ზეპირი დავალება / გასაუბრება შედეგების ცნობად მიღება და დამტკიცება.
2. კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულის გამოვლენა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მიმდინარე წლის 09.06.2021-11.06.2021 პერიოდში ჩატარებული, კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის - ზეპირი დავალება/გასაუბრების შედეგების შესახებ, რის საფუძველზეც დგინდება, რომ 4 ვაკანტურ პოზიციაზე მონაწილე 232 კანდიდატიდან (განაცხადიდან), კონკურსზე გამოცხადდა 70 კანდიდატი (განაცხადი), ხოლო არ გამოცხადდა 162 კანდიდატი (განაცხადი).  
კონკურსანტთა თანხმობით (სურვილით), განხორციელდა კონკურსის მეორე/მესამე ეტაპის - ზეპირი დავალება/გასაუბრების პროცესის ვიდეო ჩაწერა.

კ ო მ ი ს ი ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა :


1. ცნობად იქნეს მიღებული და დამტკიცდეს 08.04.2021 წლის № ზ 14.14210983 (16.04.2021-ის ცვლილება № ზ 14.142110630) ბრძანებით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის - ზეპირი დავალება/გასაუბრება შედეგები, თანახმად დანართი 1.



2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებები:



- ა) იმ კანდიდატებს, რომლებიც ღია კონკურსის მეორე და მესამე ეტაპზე (ზეპირი დავალება/გასაუბრება) არ გამოცხადდა, ან კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით ვერ გამოვლინდა გამარჯვებულად, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით.
- ბ) კანდიდატებს, რომელმაც ღია კონკურსის მეორე და მესამე ეტაპზე (ზეპირი დავალება/გასაუბრება) წარმატებულად გადალახა და კონკურსის საბოლოო შედეგებით გამოვლინდა გამარჯვებულად, შედეგები ეცნობოს მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, წინამდებარე ოქმის ოფიციალურად ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების შემდგომ.



გ) კანდიდატთა ინფორმირების მიზნით კომისიის გადაწყვეტილება - კომისიის სხდომის ოქმი (დანართი 1; განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.batumi.ge](http://www.batumi.ge).

3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები და შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე:  ნუსტი დეკანაძე

კომისიის წევრები:  რამაზ მამულაძე  ვახტანგ გედემიძე

 მირიან მეტრეველი  მერაბ ქიძინიძე

 დავით კობინაძე  კატია დიასამიძე